



IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
განათლების მეცნიერებების პროგრამა

სწავლის შედეგების, სასწავლო კურსისა და შეფასების შესაბამისობა ინგლისურის
როგორც უცხოური ენის პროგრამაში (უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის
მაგალითი

ვენერა ულქერ

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოდონაძე ნათელა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორი, პროფესორი

ექსპერტები

იან ბოემ პროფესორი, დოქტორი

ეკატერინე ფიფია პროფესორი, დოქტორი

ოპონენტები

მადონა შელია პროფესორი, დოქტორი

თამარ მიქელაძე ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

შესავალი

დღეს-დღეობით მსოფლიოს მასშტაბით განათლების მთავარი მიზანია არა მხოლოდ აღჭურვის შემსწავლელი ცოდნით თავიანთ სფეროში, არამედ დაახლოვნოს ისინი გამოიყენონ ეს ცოდნა პრაქტიკულად ცხოვრებისეულ სიტუაციებში, აგრეთვე შექმნან საფუძველი მუდმივი განვითარება/თვით-განათლებისათვის მომავალში. ეფექტური კურიკულუმის/სილაბუსის შედგენა წარმოადგენს მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის სათანადო ცოდნითა და უნარებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებას. გარდა სილაბუსისადმი ბევრი სხვა მოთხოვნისა, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი (სილაბუსის) კომპონენტების ლოგიკური თანმიმდევრობა და ურთიერთკავშირი. კომპეტენციებს, სწავლებისა და სწავლების მეთოდოლოგიასა და სასწავლო მიზნების მიღწევის დადგენის საშუალებებს შორის ურთიერთობების დადგენისას, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტი განხილულ უნდა იქნას არა როგორც დამოუკიდებელი რამ, არამედ როგორც საგანმანათლებლო მექანიზმის განუყოფელი ნაწილი.

გამიზნული შესწავლის შედეგები გაზომვადი და დაკვირვებადი პუნქტებია იმისა, თუ რის ცოდნას მოველით შემსწავლელისგან და რისი გაკეთება შეუძლია მას საგანმანათლებლო პროცესის დასრულებისას (Arum, Cook, & Roksa, 2016; Byram & Hu, 2013; Knowles, Holton & Swanson, 2015; Morss & Murray, 2005; Nygaard, Holtham, & Courtney, 2009; Solnyshkina et al., 2016; Spady, 1994; Spector, 2013). გარკვეული ცოდნის ქონა და სასწავლო შედეგების გააზრება სწავლა-სწავლების პროცესის ყოველ ეტაპზე განათლებას უფრო მიზანდასახულსა და აზრიანს, მნიშვნელოვანს ხდის. ასე რომ აბიტურიენტებს შეეძლებათ ამოარჩიონ უნივერსიტეტი, რომელშიც ისწავლიან იმის გათვალისწინებით, თუ რა სასწავლო შედეგს მიიღებენ პროგრამის დასრულებისას და აბიტურიენტებს ეცოდინებათ, რა სახის ცოდნას მოიპოვებენ სერტიფიცირებული პროგრამების წარმატებით დასამთავრებლად. მასწავლებლის პერსპექტივიდან, მიზანდასახული სასწავლო შედეგების ნათლად ჩამოყალიბებული ერთობლიობა

შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ნიმუში პროგრამის შემადგენლობის განვითარებისათვის და როგორც შესაფერისი მეთოდოლოგია სასწავლო მიზნების მიღწევის შესაფასებლად (Stiggins, 2017).

საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების სფეროს მიხედვით, სასწავლო შედეგების განსაზღვრა შეიძლება დაფუძნებულ იქნას იმ მონაცემებზე, რომლებიც მიიღება გარკვეული ანალიზიდან ეროვნულ, რეგიონულ, დაწესებულების, ფაკულტეტის, დეპარტამენტის, ან კლასის დონეზე. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კეთილსინდისიერად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მონაცემები სასწავლო შედეგების შესახებ გადაწყვიტავს მომდევნო ქმედებების განვითარების ბედს - კურსის, სწავლების, და შეფასების მეთოდოლოგიას (Arum, Cook, & Roksa, 2016).

საგანმანათლებლო პროგრამა შემსწავლელებს ამარაგებს საკმარისი ცოდნითა და უნარებით სწავლის სფეროში, ასე რომ შინაარსის სიღრმე და დიაპაზონი ხელს შეუწყობს სასურველი სასწავლო შედეგების მიღწევას.

შეფასების საშუალებით შესაძლებელია განვსაზღვროთ რამდენად კარგად იქნა მიღწეული სასწავლო მიზნები სასწავლო პროცესის ყოველ ეტაპზე და, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს აუცილებელი ქმედებები სწავლებისა და შესწავლის სტრატეგიების გასაუმჯობესებლად, ისეთების, როგორცაა კონსტრუქციული უკუკავშირი, მათ შორის რეკომენდაციები შემდგომი განვითარებისათვის.

დიდი დროის მანძილზე ერაყში ინგლისური ენა ისწავლებოდა გრამატიკული წესების (ძალიან ხშირად გამოიყენებოდა მოსწავლეების მშობლიური ენა), გარკვეული წინადადებებისა და დიალოგების, ასევე ლექსიკის გარკვეული მარაგის მექანიკური დამახსოვრებით (Ismael, 2017). ფაქტიურად, სწავლების ეს გზა არასაკმარისი აღმოჩნდა სტუდენტების რეალური კომუნიკაციისათვის. უფრო მეტიც, ინგლისური ენის შემსწავლელისგან ელოდნენ კომუნიკაციას ზეპირი და წერილობითი ფორმით, თუმცა ადგილი ჰქონდა „ფურცელი და ფანქარი“ ფორმატით შეფასებას, ეს ფორმატი შედეგობდა შესაფასებელი კრიტერიუმების შეზღუდული რაოდენობით (Ismael, 2017). შედეგად, შემსწავლელები და მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ

იმის შეფასებაზე, რაც საჭირო იყო გამოცდის ჩასაბარებლად. ასეთი სწავლა-სწავლება კი მოიცავს ისეთ საკლასო საქმიანობას და შეფასებას, რომლებიც ჰგავს ფინალურ ტესტებს.

მკვლევარი (როგორც „მკვლევარი“ ამ დისერტაციაში მისი ავტორი, ვენერა ულკერი იქნება მოხსენიებული) 2001 წლიდან ასწავლის ინგლისურს როგორც უცხო ენას, მათ შორის სამი წელი იყო უნივერსიტეტის ენობრივი ტესტირების ოფისის წევრი, სადაც იგი იყო გამოცდების მომზადებაზე, ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი. გამოცდებამდე და გამოცდების შემდეგ სტუდენტების / მასწავლებლების ქცევაზე დაკვირვებით და საგამოცდო შედეგების ანალიზით სტუდენტებისთვის, მშობლებისთვის და დირექტორებისთვის შედეგების გადასაცემად შემდგომი სტრატეგიის განვითარების მიზნით, მკვლევარი ხვდებოდა ისეთ სიტუაციების, როგორებიცაა:

- კლასში სტუდენტების სწავლის ხარისხი სემესტრის განმავლობაში ხანდახან ეწინააღმდეგებოდა იმ ქულას, რომელსაც ისინი იღებდნენ დასკვნით გამოცდაზე.
- ზოგიერთ სტუდენტს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ახერხებდნენ დადებითი ქულის მიღებას, არ შეეძლო ინგლისურ ენაზე (წერილობითი, სალაპარაკო ან ორივე სახის) კომუნიკაცია.
- სტუდენტები ხშირად აწყდებიან სიმძნელებს შეფასების შედეგების ახსნისას და გამოყენებისას.
- ინგლისურის როგორც უცხო ენის, ზოგიერთ შემსწავლელს, რომელიც ესწრება ყველა გაკვეთილს რეგულარულად, აკეთებს საშინაო დავალებას და ჩართულია საკლასო საქმიანობაში, არ შეუძლია მოთხოვნილი მასალის მოპოვება შესაფერისი გზით, მათ არ შეუძლიათ მიიღონ მინიმალური დადებითი ქულა.
- ცენტრალიზებულმა გამოცდებმა და მასწავლებლის მიერ მომზადებულმა გამოცდებმა შეიძლება კონცენტრაცია მოახდინოს სრულიად სხვადასხვა საკითხზე, რაც გავლენას მოახდენს სტუდენტის ქცევაზე შემაჯამებელი გამოცდის დროს.

ყველაფერი ეს ჩემი კვლევის თემას აქტუალურს.

ერაყში ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების პრობლემებიდან აღსანიშნავია ის, რომ ინგლისურის შემსწავლელს არ შეუძლია მოიპოვოს სასურველი სასწავლო შედეგი ენის მოსამზადებელი პროგრამის დამთავრების შემდეგ, რამდენათაც სასურველი სასწავლო შედეგის, კურსის შემადგენლობისა და უნივერსიტეტის ენობრივი მოსამზადებელი პროგრამების ურთიერთკავშირის დაბალი დონე არსებობს, რაც თავის მხრივ, გამოწვეულია ინგლისურის მასწავლებლების არასაკმარისი კომპეტენციით ეფექტური პროგრამების განვითარების საკითხში.

ამ კვლევის მიზნებს, შესაბამისად, წარმოადგენდა:

- დაგეგმილი სასწავლო შედეგების, კურსის შემადგენლობისა და შეფასების ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის დეტალური და ეფექტური პროცედურის განვითარება;
- ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელ სტუდენტთა ენობრივი უნარ-ჩვევების დონის გაზრდა შემოთავაზებული პროცედურის გამოყენების შედეგად;
- იმ მიზეზების გარკვევა, რომლებიც სტუდენტებმა და მასწავლებლებმა დაასახელებდნენ ენობრივი უნარ-ჩვევებისა და კმაყოფილების დონის გაზრდასთან დაკავშირებით;
- სტუდენტის კმაყოფილების დონის გაზრდა შეფასების შემოთავაზებული მოდელის საშუალებით;
- რეკომენდაციების შემუშავება ინგლისურის როგორც უცხო ენის მასწავლებლებისათვის, რომლებიც მათ დაეხმარება უფრო ეფექტური პროგრამების შემუშავებაში.

კვლევის ჰიპოთეზას წარმოადგენს:

საფუძვლიანი მუშაობა განზრახულ სასწავლო შედეგს, კურსის შემადგენლობასა და შეფასების მეთოდებს შორის კავშირზე მკვლევარის მიერ შემოთავაზებული პროცედურის მიხედვით გაზრდის ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელი სტუდენტების ენობრივი უნარ-ჩვევებისა და მათი კმაყოფილების დონეს.

შემოთავაზებული მოდელი/პროცედურა (დეტალურად წარმოდგენილი მესამე თავის დასკვნებში) დეტალურად მოიცავს შემდეგს:

- ისეთი სასწავლო შედეგების შემუშავებას, რომლებიც მოიცავს საკომუნიკაციო (ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და პრაგმატულ) კომპეტენციებს, აგრეთვე ღირებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება გაკვეთილის / კურსის / პროგრამის მიერ;
- მასალების, თემების, ენობრივი ფუნქციების შემოთავაზებას და სასწავლო ქმედებების გამოყენებას სასწავლო შედეგებთან შესაბამისობაში;
- მოსალოდნელი სასწავლო შედეგების შესაბამისი ფორმატიული და შემაჯამებელი შეფასებების განხორციელებას;
- უკუკავშირის უზრუნველყოფას, ფორმატიული შეფასების შედეგების გაოცებით, რაც დაეხმარება სასურველი სასწავლო შედეგის მიღებაში.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის საშუალებების მოძებნის მიზნით, **კვლევის შემდეგი მეთოდები** იყო გამოყენებული:

- საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურის ანალიზი
- ექსპერიმენტი, რომელიც იყენებს შემოთავაზებულ პროცედურას
- შეფასება ექსპერიმენტამდე, ექსპერიმენტის დროს და ექსპერიმენტის შემდეგ
- სტუდენტებისთვის განკუთვნილი კითხვარი
- სტუდენტების გამოკითხვა
- მასწავლებლების გამოკითხვა
- კითხვარზე სტუდენტების პასუხების ანალიზი
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- მასწავლებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი

- საექსპერიმენტო შედეგების ანალიზი

ასე რომ, კვლევის მეთოდები რაოდენობრივი და ემპირიული იყო.

კვლევის სიახლე

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირის იდეა ჩვეულებრივ დაკავშირებულია ჯონ ბიგსის (Biggs, 2011) სახელთან, რომელმაც ჰონგ კონგის უნივერსიტეტისა (ჰონგ კონგი) და ტასმანიის უნივერსიტეტის (ავსტრალია) მაგალითზე აღწერა და მოგვარა რეკომენდაციები საუნივერსიტეტო მთავარი პროგრამების კურსის მოწესრიგებულობისა და მთლიანობის თაობაზე. ამ მოდელის გამოყენებამ ხელი შეუწყო მკვლევარების (Dillon et al, 2007; Fink, 2013) მიერ აღიარებას. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირის იდეას მოჰყვა დადებითი და უარყოფითი შეფასება (Carless, 2015; Gardner, 2011). თუმცა, მხოლოდ რაოდენობით კვლევა არსებობს იმის საჩვენებლად, მომგებიანია თუ არა ის ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების ტრადიციულ გზასთან შედარებით.

თეორიული ღირებულება

მიმდინარე კვლევის თეორიული საფუძვლებია:

- სტუდენტთა სწავლის შედეგების ცნება (მაგალითად: Arum, Cook, & Roksa, 2016; Banta & Palomba, 2014; Beyerlein, Davis, & Apple, 2009; Dillon, Reuben, Coats, & Hodgkinson, 2007; Khan & Bontha, 2017; Nygaard, Holtham, & Courtney, 2009; Watson, 2002);
- სასურველი სასწავლო შედეგების შემუშავება (მაგალითად: Anderson & Krathwohl, 2001; Assaly & Smadi, 2015; Bloom, Engelhart, Furst, Hill, & Krathwohl, 1956; Daugherty, Black, Ecclestone, James, & Newton, 2011; Marzano & Kendall, 2007);

- იდეები ინგლისურის როგორც უცხო ენის კურიკულუმის შემუშავებასთან დაკავშირებით (მაგალითად: Banta & Palomba, 2014; Briggs & Wager, 1981; Brown & Green, 2015; Connelly & Connelly, 2013; Das, 2013; Diamond, 2011; Luke, Woods, & Weir, 2013; Nunan, 1988; O'Brien, Millis, & Cohen, 2009; Richards, 2001; Sierocka, 2014);
- ეფექტური შეფასების მთავარი მოთხოვნა (მაგალითად: American Educational Research Association; American Psychological Association; National Council on Measurement in Education; Joint Committee on Standards for Educational and Psychological Testing, 2014; Banta & Palomba, 2014; Black & Wilian, 2012; Brown, Bull, & Pendlebury, 2013);
- შედეგზე დაფუძნებული შეფასების იდეა (მაგალითად: Deardorff, 2015; Dillon, Reuben, Coats, & Hodgkinson, 2007; Khan & Bontha, 2017);
- მიზანდასახული სწავლების შედეგების, კურსის შემადგენლობისა და შეფასების განხილვა (მაგალითად: Biggs, 2014; Stiggins, 2017; Yamanaka & Wu, 2014).

დეტალური პროცედურა / სწავლების მიზანდასახული შედეგების, კურსის შემადგენლობისა და შეფასების ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მოდელი წარმოადგენს დისერტაციის მთავარ თეორიულ ღირებულებას. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შეფასების პოლიტიკის თეორიული საფუძველი უნივერსიტეტში.

დისერტაციაში განხილული პრაქტიკული მასალები და რეკომენდაციები, იმედია, საშუალებას მისცემს მასწავლებლებს / ინგლისურის როგორც უცხო ენის ცოდნის შემფასებლებს დაეხმარონ თავიანთ სტუდენტებს ენის შესწავლაში, აგრეთვე მოიპოვონ უფრო საიმედო, ობიექტური და განმარტებული მონაცემები სტუდენტების სასწავლო პროგრესის შესახებ, რაც შეიძლება დასახელდეს როგორც კვლევის **პრაქტიკული ღირებულება**.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, 4 თავი, დასკვნა, და დანართები. მასში ასევე არის 18 ცხრილი და 10 ფიგურა; იგი დაბეჭდილია 130 გვერდზე.

პირველი თავი. სილაბუსის სქემა და სასწავლო შედეგები

ამჟამად, განათლება დროისა და სწრაფად ცვალებადი და განვითარებადი მსოფლიოს მოთხოვნების ზეგავლენის ქვეშაა. განმანათლებლებს მოეთხოვებათ დაკავშირებულნი იყვნენ მუდმივ კვლევასთან, რომელიც ემებს ახალ მიდგომებს, მეთოდებს და ტექნიკას, რათა ზოგადად დაიხვეწოს განათლება და დაკმაყოფილდეს შემსწავლელთა მუდმივად შეცვლადი მოთხოვნილებები. შეზღუდულნი არიან რა დროის ფაქტორით, მასწავლებლები და სტუდენტები ვალდებული არიან იპოვონ უმოკლესი და ყველაზე შესაბამისი გზები სასწავლო მიზნების მისაღწევად.

სასწავლო მიზნები, ანუ წინასწარ განსაზღვრული სასწავლო შედეგები, იმის განაცხადია, თუ რა უნდა იცოდეს შემსწავლელმა და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მას, რათა წარმატებით დაამთავროს სასწავლო კურსი ან პროგრამა. ისინი ჩვეულებრივ გამოიხატება დაკვირვებადი და გაზომვადი ზმნების (დადგენა, კატეგორიზაცია, შედარება, დასკვნა და სხვა) ფორმით, და მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს ისეთი გაურკვეველი ან ორაზროვანი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებას, რომლებიც ძნელი შესაფასებელია (დაჯერება, დამახსოვრება, მიხვედრა, ცოდნა, ფიქრი და სხვა).

შეუძლებელია ნებისმიერი მიზნის მიღწევა, თუ ეს მიზნები ჩამოყალიბებული არ არის. სხვადასხვა საშუალებით შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია სასწავლო მიზნების შესახებ და იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მათ არჩევაზე. სასწავლო შედეგები შეიძლება გამომდინარეობდეს თვითონ შემსწავლელებისაგან, ზოგიერთი მიღებული სტანდარტიდან, დამაქმელთა მოთხოვნებიდან და ასე შემდეგ. ამ წყაროებიდან მიღებული მონაცემები საშუალებას აძლევს განმანათლებელს უკეთესად მიხვდეს საგანმანათლებლო პროგრამიდან მოლოდინს. სასურველი სასწავლო შედეგების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ყოველი მათგანი არის ზუსტად ჩამოყალიბებული, რეალისტური, მისაღები და შეფასებადი. ეს


აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის (მისი შინაარსის, ამოცანების, საქმიანობის, შეფასებისა და ა.შ.) სხვა კომპონენტების განვითარებისათვის.

სტუდენტების ცოდნის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება სხვა მნიშვნელოვანი პროცედურაა იმისთვის, რომ მოვიპოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ უკვერა იციან მათ და რა შეუძლიათ გააკეთონ. ეს მონაცემები განმანათლებლებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ საწყისი წერტილი და გადაწყვიტონ ყველაზე შესაფერისი მათ მიერ სესატანი წვლილი, რათა მიაღწიონ სასწავლო მიზნებს.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სწავლის ზოგადი შედეგები (სწავლის გრძელვადიანი შედეგი) და მოიპოვება ინფორმაცია შემსწავლელთა შესახებ, პროგრამის შემდგენლები მიიღებენ გადაწყვეტილებას სპეციფიურ სასწავლო შედეგების თაობაზე (სწავლის მოკლევადიანი შედეგები), რომელთა მიღწევა მიგვიყვანს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევამდე.

სასწავლო პროგრამის (სასწავლო შედეგები, კურსის შემადგენლობა და შეფასებები) კომპონენტებს შორის უფრო ძლიერი ბალანსის უზრუნველსაყოფად, განმანათლებლებს რეკომენდაცია გაეწიათ გამოიყენონ ბლუმის საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომია და მისი განახლებული ვერსია. ორივე მათგანი მოიცავს სასწავლო შედეგების სიას შემეცნებითი, ემოციური და ფსიქომოტორული დომენების შესახებ ისე, რომ ისინი შეიძლება გამოყებებული იქნას გეგმაში და გაკვეთილის გეგმის შემუშავებისას.

ამ თავში არსებული ლიტერატურის განხილვის საფუძველზე სილაბუსის შემუშავების შემდეგი მოდელი შეიძლება იქნას რეკომენდირებული (იხ. სურათი1).



სურათი 1. სილაბუსის შემუშავების მოდელი (მკვლევარის მიერ შედგენილი)

როგორც სურათზეა ნაჩვენები, სილაბუსის თითოეული ნაწილი ურთიერთდაკავშირებულია და დაფუძნებულია სტუდენტისა და მომავალი დამსაქმებლის საჭიროებათა ანალიზზე. გადაწყვეტილება ერთ-ერთი კომპონენტის შესახებ ვერ იქნება მიღებული დანარჩენი კომპონენტების მხედველობაში მიღების გარეშე. ზოგჯერ ზედმიწევნით შედგენილმა სილაბუსმაც კი შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს სტუდენტების გარკვეული ჯგუფის მოთხოვნილებები, ასე რომ მასწავლებლები მზად უნდა იყვნენ განახორციელონ აუცილებელი ცვლილებები სწავლებისა და სწავლის გასაუმჯობესებლად. სილაბუსის წარმოდგენილი მოდელი მიჩნეულია განმანათლებლების დამხმარე საშუალებად, რათა უზრუნველყოს კავშირი სწავლის შედეგს, კურსით კმაყოფილებასა და მისი შედეგების შეფასებას შორის.

მეორე თავი. ინგლისურის როგორც უცხო ენის უნარ-ჩვევების შეფასება

შეფასება უმაღლესი განათლების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია და ასევე სტუდენტთა მიერ მიღებული სწავლის შედეგების ხარისხისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. როგორც ამ თავშია წარმოდგენილი, შეფასების სახეების კლასიფიკაცია

შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებულ ტიპად და ყოველ მათგანს აქვს თავისი მნიშვნელობა უმაღლესი განათლებისთვის. შეფასების ზეპირი და წერილობითი, სუბიექტური და ობიექტური, ტრადიციული, ტესტური და ალტერნატიული ტიპები, ფორმატიული და შემაჯამებელი შეფასება არის განხილული ამ თავში, რათა დადგინდეს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, და მათი კავშირი სხვადასხვა სასწავლო შედეგთან.

რამდენადაც არსებობს ენობრივი კომუნიკაცია ზეპირი და წერილობითი ფორმებით, ენის სწავლების პროცესში ადგილი უნდა ჰქონდეს ინგლისურის როგორც უცხო ენის უნარ-ჩვევების შეფასების ორივე ტიპს. ეს არის უცხო ენის უნარ-ჩვევების შეფასების სპეციფიური მახასიათებელი, შედარებით ბევრ სასწავლო კურსთან, რომელთა ცოდნა და უნარები შეიძლება შეფასდეს მხოლოდ წერილობით.

შეფასების სხვადასხვა ტიპების გარდა, შეფასების სხვადასხვა სტრატეგიები ძალიან მნიშვნელოვანია. სასწავლო კურსის ან პროგრამის ბოლოს სტუდენტს მხოლოდ ნიშანი არ ესაჭიროება. რატომღაც, აუცილებელია განისაზღვროს სტუდენტის სწავლის დონე, მაგრამ მათ ასევე ესაჭიროებათ კარგი წინამძღოლობა მთელი სასწავლო პროგრამის განმავლობაში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. ეს წინამძღოლობა შეიძლება განხორციელდეს ფორმატიული შეფასებისა და კონსტრუქციული უკუკავშირის დახმარებით.


აუცილებელია ობიექტური შეფასება, რამდენადაც სტუდენტებს სჭირდებათ იგრძნონ, რომ ისინი არიან სამართლიანად შეფასებული. მეორე მხრივ, სუბიექტური შეფასება საშუალებას იძლევა შეფასდეს სტუდენტის ანალიტიკური უნარები, კრეატიულობა და სხვა. მაშინ, როცა ჩვენ საქმე გვაქვს სუბიექტურ შეფასებასთან, შეფასების რუბრიკის გამოყენება არის განათლების სექტორში შეფასების პროცედურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი სტუდენტების შესაფასებლად ფორმატიული და შემაჯამებელი შეფასებისას. რუბრიკის გამოყენება ძალიან რეკომენდირებულია მეცნიერების მიერ რამდენიმე მიზეზით. მაგალითად, ის სტუდენტებისთვის კარგია დეტალური უკუკავშირის მისაწოდებლად მთელი

სასწავლო პერიოდის განმავლობაში. რუბრიკის გამოყენების სხვა მნიშვნელოვანი თვისებაა ის, რომ ის სტუდენტებისთვის არის წინამძღოლი სწავლის საკითხში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის ხარისხისთვის. მთავარი მოთხოვნა რუბრიკისადმი არის მისი უნარი შეაფასოს და დემონსტრირება გაუკეთოს სტუდენტის მიღწევას განსაზღვრული სასწავლო შედეგის მიღების დროს.

შეფასების პროცედურების ეფექტურობის გაზრდის მიზნით განმანათლებლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მისი საიმედოობა, სანდოობა, გამოყენებადობა, პრაქტიკულობა, ავტენტურობა, გამჭვირვალობა და უსაფრთხოება. იმისათვის, რომ შეფასება იყოს მნიშვნელოვანი, მიზნობრივი და საიმედო, ყველა ზემოთ აღნიშნული მახასიათებელი უნდა იქნას მიღებული მხედველობაში და შეფასებისას უნდა მოხდეს სასურველი სასწავლო შედეგის შეფასების ხარისხის დემონსტრირება.

ამ და წინა თავთან დაკავშირებით ლიტერატურის განხილვაზე დაყრდნობით, შემდეგი მონაცემები შეიძლება იქნას რეკომენდირებული, რათა ამოვიჩიოთ შეფასების რელევანტური პროცედურა (იხილეთ სურათი 2).

განზრახული სწავლის შედეგების შეფასება



*რუბრიკაა საჭირო

სურათი 2. შეფასების სქემის ჩამოყალიბება (შემუშავებულია მკვლევარის მიერ)

როგორც ვხედავთ, შეფასების სხვადასხვა ტიპები (ფორმატის თანახმად: წერილობითი / ზეპირი, კითხვის ტიპის მიხედვით: ღია, დახურული, მიზნის მიხედვით: მაფორმირებელი და შემაჯამებელი და მისი ფორმალობის დონის მიხედვით: ფორმალური / არაოფიციალური) შეიძლება დაკავშირებული იყოს დავალების სხვადასხვა ტიპთან (**წერილობითისთვის**: მრავალი პასუხიდან სწორის არჩევანი, სწორი/მცდარი დებულების დადგენა, შესატყვისების პოვნა, თანმიმდევრობის დადგენა, გამოტოვებული ადგილის შევსება, მოკლე პასუხი, ესსე, პორტფოლიო, საკურსო ნაშრომი/დისერტაცია, მოხსენება, პროექტი; **ზეპირისთვის**: დიალოგი / როლური თამაში, ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია, პორტფოლიო, პროექტი, დისკუსია / დებატები; **ობიექტურისთვის**: მრავალიდან სწორი პასუხის არჩევანი, სწორი/მცდარი დებულების დადგენა, შესატყვისების პოვნა, პოვნა, თანმიმდევრობის დადგენა, გამოტოვებული ადგილის შევსება, მოკლე პასუხი, **სუბიექტურისთვის**: მოკლე პასუხი, ესსე, პორტფოლიო, საკურსო ნაშრომი/დისერტაცია, მოხსენება, პროექტი და სხვა. ყოველი მათგანი შეიძლება გამოყენებულ იქნას მაფორმირებელი და შემაჯამებელი შეფასებისთვის, აგრეთვე ფორმალური და არაოფიციალური შეფასებისთვის).

მესამე თავი. შეფასებას, სასწავლო შედეგსა და სილაბუსს შორის კავშირის ხელშემწყობი მოდელის განვითარება

ინგლისურის როგორც უცხო ენის გაკვეთილის გეგმისა, სილაბუსისა თუ კურიკულუმის ჩამოყალიბებისა და გამოყენების პროცესში დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს მისი კომპონენტები (შინაარსი, მასალა, აქტივობები და შეფასება), რათა უზრუნველყოფილ იქნას სასურველი სასწავლო შედეგის მიღება, გავითვალისწინებთ რა იმას, რომ თითოეული მათგანი ხელს უწყობს ერთმანეთს და ბალანსი უნდა იყოს დაცული მათ შორის.

თუმცა კავშირი გაკვეთილის / სილაბუსის / კურიკულუმის კომპონენტებს შორის არ არის სწორხაზოვანი პროცესი, მათ განვითარებამ უნდა გაიაროს რამდენიმე ეტაპი,

რომლებიც იმოქმედებს ციკლურად. პირველ რიგში, აუცილებელია იწარმოოს შესაბამისი საჭიროების ანალიზი და განისაზღვროს სასურველი სასწავლო შედეგები, რომლებიც აუცილებლად გაზომვადი და დაკვირვებადი უნდა იყოს. მეორე, შესაბამისი შინაარსი - თემატიკა, მასალა, აქტივობები და შეფასება - უნდა იყოს შემუშავებული. მესამე, განმანათლებლებმა უნდა გადაწყვიტონ თუ როგორ შეფასდება თითოეული სასწავლო შედეგის მიღწევადობა. ყველაზე მეტად შესაფერისი სასწავლო შინაარსის შერჩევისა და სასურველი სასწავლო შედეგის შეფასების მიზნით რეკომენდირებულია შემდეგი ცხრილი (ცხრილი 1).

ცხრილი 1. დისერტაციაში შემუშავებული მოდელი (შედგენილი მკვლევარის მიერ, CEFR-ზე (Council of Europe, 2001) დაყრდნობით)

სასწავლო შედეგები	კომპეტენციები (ქვე-კომპეტენციები)	კურსის შინაარსი	შეფასება
კომუნიკაციური კომპეტენცია:			
ლინგვისტური	ლექსიკური, ფონოლოგიური, ორთოეპული, ორთოგრაფიული, სემანტიკური	ლექსიკის წარმოქმნის, მართლწერის, დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობის, სიტყვის წარმოების, შესიტყვების უნარისა და გრამატიკული ფორმების ცოდნა	დახურული ტესტები, სიტყვების გამეორება ჩანაწერის შემდეგ (შეფასების პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით)
		ლექსიკის გააზრების უნარი მოსმენისა და კითხვის დროს და მისი გამოყენება ლაპარაკისა და წერის დროს ამ ცოდნასთან	ლექსიკის მნიშვნელობის მიხედვრაზე ორიენტირებული დავალებები მოსმენა/კითხვისას;


		შესაბამისობაში	დიალოგები, დისკუსიები, დებატები, პორტფოლიო, პროექტები, პრეზენტაციები და ესსეების დაწერა, მოცემული ლექსიკის გამოყენებით (თანმხლები რუბრიკებით)
გრამატიკული, ფონოლოგიური, ორთოეპული, ორთოგრაფიული, სემანტიკური	სინტაქსური სტრუქტურებისა და მორფოლოგიის წესების	დახურული ტესტები	
	სინტაქსური სტრუქტურისა და მორფოლოგიური ფორმების გააზრების უნარი მოსმენისა და კითხვის პროცესში და მათი გამოყენება ლაპარაკისა და წერის დროს	გრამატიკულ მასალაზე ორიენტირებული მოსასმენი / წასაკითხი დავალებები; დიალოგები, დისკუსიები, დებატები, პორტფოლიო, პროექტები, პრეზენტაციები და ესსეს წერა, მოცემული გრამატიკული მასალის გამოყენებით (თანმხლები	

			რუბრიკებით)
სოციოლინგვისტური		ძირითადი ცოდნა სტილისტური და ზრდილობის ნორმების შესახებ, დიალექტისა და აქცენტის შესახებ ძირითადი ცოდნა	- (არ ფასდება, მაგრამ გარკვეული გავლენა აქვს შეფასებაზე, განსაკუთრებით ენის ფლობის მაღალ დონეზე)
		ამ ცოდნის გამოყენების უნარი ისეთი გამონათქვამების ფორმირებისთვის, რომლებიც შეესაბამება სტილისტურ მიზნებს და სიტუაციას, ზრდილობას, დიალექტს და აქცენტს	ესსეები, წერილების წერა, დიალოგები, დისკუსიები, დებატები
პრაგმატული	დისკურსი: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა	ცოდნა ტექსტის სტრუქტურის, მისი კოჰეზია-კოჰერენტულობის შესახებ მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის უნარი თემებისა და საკომუნიკაციო ფუნქციების	ესსეები, წერილის წერა, პროექტები

		შესაბამისად მოცემული დონის ფარგლებში	
ზოგადი კომპეტენციები:			
ფონური ცოდნა		განმანათლებლო დონის შესაბამისი სამყაროს შესახებ ცოდნა, რომელიც ხელს უწყობს მოსმენისა და კითხვის დროს სიტყვების გაგებას	- (არ ფასდება, მაგრამ დიდი გავლენა აქვს შეფასების პროცესში)
სოციოკულტურული		საკუთარი თუ უცხო, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი, კულტურის შესახებ ცოდნა, რომელიც ადექვატური კომუნიკაციის საშუალებას იძლევა	- (არ ფასდება, მაგრამ დიდი გავლენა აქვს შეფასების პროცესში)
სწავლის უნარები	ავტონომიური სწავლა / დამოუკიდებელი სწავლა	ლექსიკონის გამოყენების, წასაკითხი და მოსასმენი მასალის გააზრების, ზეპირი თუ წერილობითი გამონათვამის დაგეგმვის, რედაქტირებისა და სხვ. სტრატეგიები;	- (არ ფასდება, მაგრამ დიდი გავლენა აქვს შეფასების პროცესში)

		დამახსოვრებისა და გახსენების სტრატეგიები	
ღირებულებების ჩამოყალიბება	ლინგვისტური	ენის მიმართ დადებითი ემოციები სწავლის პროცესში	- (არ ფასდება)
	კულტურული	ინგლისურ ენაზე მოსაუბრე და სხვა ერების კულტურისადმი (კულტურებისადმი) დადებითი დამოკიდებულება და/ან ტოლერანტობა	- (არ ფასდება)

შეთავაზებული მოდელის გამოყენება უნდა დაიწყოს სტუდენტების ინფორმირებით იმის თაობაზე, თუ რას მოელიან მათგან და როგორ გაიზომება და შეფასდება სასწავლო კურსის ეს დაუფლება. ასე გაკეთებით, შემსწავლელებს მოეთხოვებათ უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული სასწავლო პროცესთან და უკეთესად იცოდნენ, თუ რისი და როგორი სწავლა ესაჭიროებათ მათ კურსის წარმატებით დასასრულებლად ან სერტიფიკატის მოსაპოვებლად. კურსის შინააქსმა (რომელიც მოიცავს სასწავლო მეთოდებს, მიდგომებს, ტექნიკას, აგრეთვე მასალას, თემებს, სამეცნიერო ფუნქციებს, დავალებებსა და აქტივობებს) უნდა აღჭურვოს სტუდენტი გარკვეულ სფეროში აუცილებელი ცოდნით და საკმარისი პრაქტიკით. მასწავლებლებს შეუძლიათ დაიწყონ მასწავლებლის მიერ გაკონტროლებული პრაქტიკით, რომელსაც მოჰყვება ნაკლებად კონტროლირებადი პრაქტიკა და რომელიც მთავრდება დამოუკიდებელი პრაქტიკით, რაც ხელშეწყობილია მაფორმირებელი შეფასებით და კონსტრუქტიული უკუკავშირით. სურათი 3 უჩვენებს განსახილველი მოდელის პრაქტიკაში დანერგვის პროცესს.



ბალანსი კომპონენტებს შორის

სურათი 3. გამოყენებული მოდელის აპლიკაცია (მკვლევარის მიერ შემუშავებული)

ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემულ სასწავლო შედეგებს, უნდა იყოს კომუნიკაციური და ინტერაქტიური, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე დაფუძნებული. სახელმძღვანელოდან აღებული და მასწავლებლების მიერ მოწოდებული სასწავლო მასალა საფუძვლიანად უნდა შეფასდეს დაგეგმილი სასწავლო შედეგების რელევანტურობის კუთხით და უნდა შეიცვალოს სათანადო საჭიროების შემთხვევაში (თუ რელევანტურობის ნაკლებობა დადგინდა). პირველ ცხრილსა და მესამე სურათზე წარმოდგენილი განხილული მოდელი იყო ექსპერიმენტულ ჯგუფში სწავლების საფუძველი ექსპერიმენტის განმავლობაში.

მეოთხე თავი. კვლევის გეგმა და მეთოდოლოგია

ეს ნაშრომი იკვლევდა განზრახულ სასწავლო შედეგს, სასწავლო კურსის შინაარსსა და შეფასებას შორის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის ეფექტს ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელთა ენობრივი უნარ-ჩვევების ფორმირებაზე. კვლევა ჩატარდა იშიკის უნივერსიტეტის ენობრივ მოსამზადებელ სკოლაში, ქ. ერბილში (ერაყი), 2016-2017 სასწავლო წელს დაახლოებით ექვსი თვის მანძილზე. ინგლისური ენის უნარ-ჩვევების A2 დონის მქონე 43 მოსწავლემ თავდაპირველად გამოთქვა ამ კვლევაში ნებაყოფლობით მონაწილეობის სურვილი. ისინი შემთვევითი განაწილებით გაიყვნენ 2 ჯგუფად, მაგრამ საბოლოოდ კვლევის 40 მონაწილე დარჩა (სამი სტუდენტი ამოვარდა სხვადასხვა მიზეზის გამო). საბოლოოდ 19 მონაწილე იყო საექსპერიმენტო ჯგუფში, და 21 - საკონტროლო ჯგუფში.

საკონტროლო ჯგუფმა სწავლება ტრადიციული გზით მიიღო, გამოიყენა რა სასკოლო კურიკულუმი, მაშინ როცა სწავლება საექსპერიმენტო ჯგუფში, გარდა ჩვეულებრივი პროგრამისა (იგივე სახელმძღვანელო, დროის იგივე პერიოდი და სხვ.), ხორციელდებოდა დისერტაციაში შემოთავაზებული მოდელის შესაბამისად: მასწავლებელი დეტალურად ანალიზებდა სასწავლო შედეგებს და შემდეგ ფრთხილად ასწორებდა მათ სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდების შესაბამისად. სტუდენტები მუდმივად იყვნენ ინფორმირებული სწავლების მიზნების/სწავლის შედეგების შესახებ, ასევე იმის თაობაზე, თუ რაში სჭირდებოდათ მათ განსაზღვრული მასალები, თემები, სამეტყველო ფუნქციები და აქტივობები, აგრეთვე შეფასების მეთოდები.

ექსპერიმენტამდე ჩატარდა პრე-ტესტი იმაში დასარწმუნებლად, რომ მონაწილეთა ინგლისური ენის ცოდნის საწყისი დონე ორივე ჯგუფში მსგავსი იყო; ექსპერიმენტის ბოლოს სტუდენტებს სთხოვეს მონაწილეობა მიეღოთ კითხვარ გამოკვლევაში, რათა გაერკვიათ მათი დამოკიდებულება სწავლებისა და შეფასების შემოთავაზებული მეთოდის მიმართ.

ექსპერიმენტის პროცესში საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფებში მიმართეს ხანმოკლე ტესტს ორივე ჯგუფში პროგრესის დასადგენად. ექსპერიმენტის დასრულებისთანავე დაუყოვნებლივ პოსტ-ტესტს მიმართეს სტუდენტების უნარ-ჩვევების საბოლოო დონის გასარკვევად. მიღწეული სასწავლო შედეგების დონის განსაზღვრის მიზნით ექსპერიმენტის დასრულებიდან დაახლოებით ერთი თვის მანძილზე ჩატარდა გადავადებული პოსტ-ტესტი.

წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო გამოველინა შეთავაზებული მოდელის გამოვლენების გავლენა უნივერსიტეტის ენობრივი მოსამზადებელი სკოლის სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონის განვითარებაზე. შემდეგი დასკვნა გაკეთდა:

ექსპერიმენტის რაოდენობრივი შედეგები უჩვენებს, რომ ადგილი ჰქონდა ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას ორივე - საკონტროლო და ექსპერიმენტულ - ჯგუფში, თუმცა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით საექსპერიმენტო ჯგუფში გაუმჯობესების შედეგები უფრო მნიშვნელოვანი იყო (იხ. ცხრილი 2). ექსპერიმენტის დასაწყისიდან ბოლომდე საკონტროლო ჯგუფს წინსვლა ჰქონდა 22,95 % -ით ($M=55,86 \rightarrow 68,67$), მაშინ, როდესაც საექსპერიმენტო ჯგუფი უჩვენებდა ზრდას 34,66 % -ით ($M =55,96 \rightarrow 75,32$) იმავე პერიოდში. ასე რომ კვლევის ჰიპოთეზა დახმარებულ იქნა რაოდენობრივი მონაცემების საშუალებით, რომლებიც მოვიპოვეთ ორივე ჯგუფში წინა-ტესტის, ტესტის და პოსტ-ტესტის შედარებით.

ცხრილი 2. ტესტური შედეგების შეჯამება (100%-დან)

პრე-ტესტი	სტუდენტების რაოდენობა	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა	სასუალო სტანდარტული ცდომილება

საექსპერიმენტო ჯგუფი	19	55.95	4.515	1.036
პირველი ტესტისაკონტროლო ექსპერიმენტის მსვლელობისას	21	59.14	4.963	1.083
საექსპერიმენტო ჯგუფი	19	62.74	5.556	1.275
მეორე ტესტისაკონტროლო ექსპერიმენტის მსვლელობისას	21	63.57	4.377	.955
საექსპერიმენტო ჯგუფი	19	67.63	7.197	1.651
პოსტ-ტესტი საკონტროლო ჯგუფი	21	68.67	5.073	1.107
საექსპერიმენტო ჯგუფი	19	75.32	7.674	1.761
გადავადებული უპოსტ-ტესტი საკონტროლო ჯგუფი	21	66.76	5.403	1.179
საექსპერიმენტო ჯგუფი	19	74.16	8.368	1.920

გადავადებული პოსტ-ტესტის შედეგების თანახმად, საექსპერიმენტო ჯგუფმა ($M=75,32 \rightarrow 74,16$) საკონტროლო ჯგუფთან ($M=68.67 \rightarrow 66.76$) შედარებით აჩვენა უარყოფითი ცვლილებისადმი უფრო ხანგრძლივი წინააღმდეგობის უნარი, საკონტროლო ჯგუფში შემცირებით (-1.905) და საექსპერიმენტო ჯგუფში (-1.158). ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს მიიჩნიოს, რომ იმ მიდგომის თანახმად, სადაც სტუდენტების სწავლის შედეგები, კურსის შინაარსი და შეფასება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია, სწავლებასა და სწავლას აქვს განუწყვეტელი დადებითი ეფექტი მაშინაც კი, როდესაც არანაირი მანიპულაცია (სწავლება და სწავლა) არ არის შესრულებული.

კითხვარის გათვალისწინებით გაირკვა, რომ სტუდენტები უპირატესობას ანიჭებდნენ ინფორმირებას იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მათ ცოდნის დასაუფლებლად, როგორ იზომებოდა სასწავლო მიზნების მიღწევის შეფასება, და თუ როგორ უწყობდა ხელს პროგრამის შინაარსი მათ სწავლას. როგორც გაირკვა, არსებობდა კავშირი სწავლებისა და სწავლისადმი გარკვეულ მიდგომასა და მთელი კურსისადმი სტუდენტების კმაყოფილებას შორის.

გამოკითხვებმა დაადგინა, რომ მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც სასარგებლოდ მიიჩნევდნენ დაგეგმილი სასწავლო შედეგების შესახებ განაცხადებს, თუ ისინი მოცემული იყო კურსის დასაწყისში და შემდეგ კი პერიოდულად სწავლის პროცესში. ყველა მონაწილეს ჰქონდა მსგავსი აზრი და როგორც მათ განაცხადეს, ძალიან სასარგებლო იყო, რომ, ერთის მხრივ მასწავლებლები პერიოდულად აცნობებდნენ სტუდენტებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა იცოდნენ მათ და რა უნდა გააკეთონ ტესტებზე წარმატების მისაღწევად, და მეორეს მხრივ, სასურველი სასწავლო შედეგების მიღწევადობის შესაძლებლობა გაიზრდება, თუ სტუდენტები და მასწავლებლები ნათლად გაიგებენ სწავლებისა და სწავლის მიზანს. გამოკითხულთა უმრავლესობა ორივე ჯგუფში დაეთანხმა იმ აზრს, რომ შეფასება ძლიერი სამოტივაციო იარაღია, რომელიც არა მარტო აიძულებს მასწავლებლებსა და სტუდენტებს იმოქმედონ უკეთესად, არამედ აგრეთვე ავლენს იმას, თუ რა გაკეთდა კარგად და რა საჭიროებს გაუმჯობესებას, დახვეწას.

მიღებულმა რაოდენობრივმა და თვისობრივმა შედეგებმა საშუალება მისცა მკვლევარს დაესკვნა, რომ კვლევის ჰიპოთეზა სრულად იყო დადასტურებული.

დასკვნა

1. ამჟამად განათლება მიზნად ისახავს არა მხოლოდ შემსწავლელის აღჭურვას თეორიული ცოდნით, არამედ იგი აგრეთვე ხელს უწყობს ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, აგრეთვე ისეთი ცხოვრებისეული უნარების, შესაძლებლობების, დამოკიდებულებების,

და გონებრივი პროცესების, როგორცაა ანალიზი, სინთეზი და ახალი იდეების წარმოქმნა, გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მითითებულია სასწავლო შედეგების განაცხადებში კურიკულუმსა და სილაბუსში მსოფლიო მასშტაბით.

2. კვლევის შედეგები განაცხადია იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს შემსწავლელმა და რისი გაკეთება უნდა შეძლოს მან საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას. ეს განაცხადები საჭიროებების სკრუპულოზური ანალიზის შედეგებია, რომლებიც მოიცავს შემსწავლელებისგან, კურსდამთავრებულებისგან და მათი მშობლებისგან, დოკუმენტებიდან, რომლებიც დაკავშირებულია განათლების სფეროსთან, დამქირავებლებისგან, მასწავლებლებისგან, მკვლევარებისგან და ა.შ. სასწავლო შედეგები ის „დერძია“, რომელზეც მთელი საგანმანათლებლო პროცესი უნდა აიგოს.
3. სკრუპულოზურად შედგენილი განსაზღვრული სასწავლო შედეგების განაცხადები უზრუნველყოფენ ინფორმაციას მომხმარებლების ფართო სპექტრისთვის:
 - სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ სრული ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა გამოიმუშაონ მათ სამსახურის დასაწყებად და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოსაყენებლად;
 - სკოლადამთავრებულებს (და მათ მშობლებს) შეუძლიათ აარჩიონ პროგრამა და საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებიც დაფუძნებულია სასწავლო შედეგებზე;
 - სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ სრული სურათი იმის თაობაზე, თუ რისი ცოდნა მოეთხოვებათ მათ, და რის გაკეთებას შეძლებენ ისინი კურსის წარმატებით დასამთავრებლად და სათანადო სერტიფიკატის მოსაპოვებლად;
 - შემსწავლელებისთვის სასწავლო მიზნების მიღწევაში დასახმარებლად თავიანთი სასწავლო მეთოდოლოგიის არჩევის, განვითარებისა და

გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სასწავლო შედეგების მიღწევის მონაცემები;

- ადმინისტრატორებს შეუძლიათ გამოიყენონ სწავლის შედეგები გამოიყენონ მიმართულებისა და სპეციალიზაციის ზუსტად მიუთითონ თავიანთი პროგრამების რაკლამის მიზნით;
- ფაკულტეტები ზუსტად აღწერილ სწავლის შედეგებს იყენებენ სტუდენტის მიღწევების შესახებ ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად;
- დამსაქმებლებმა ახალი პერსონალის აყვანის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ დიპლომის დანართში არსებული სასწავლო შედეგების მონაცემებზე დაყრდნობით, და სხვ.

4. სწავლის შედეგები, ჩვეულებრივ, მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის აღწერილობაში. ამ დოკუმენტის მიზანია აცნობოს მომხმარებლებს პროგრამის მიზნების, სწავლა-სწავლების აქტივობების, კურსის პრერეკვიზიტებისა და შინაარსის და შეფასების პროცედურების შესახებ. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების მიზანია უზრუნველყონ ანალოგიური ინფორმაცია თითოეული სასწავლო კურსის შესახებ. გაკვეთილის გეგმებმა ასევე უნდა ასახონ ურთიერთკავშირი სწავლის მიზნებს, საგანმანათლებლო მასალებსა და სწავლებისა და შეფასებით მეთოდებს შორის ურთიერთკავშირი. სწავლის შედეგები კურიკულუმში/სილაბუსში/გაკვეთილის გეგმაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი მასალებით, თემებით, აქტივობებითა და შეფასების ფორმებით.

5. შეფასება ძლიერი იარაღია, რომელიც შემსწავლელების მოტივირებას უზრუნველყოფს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სასწავლო პროცესში და იმუშაონ უკეთ. მასწავლებლების პერსპექტივიდან, შეფასება ეხმარება მასწავლებლებს ამოარჩიონ ყველაზე შესაბამისი სასწავლო მეთოდები და აქტივობები, გამოავლინონ სამიზნე მასალის შეთვისების ხარისხი და

დაამყარონ კავშირი შემსწავლელებთან ცოდნის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. შეფასება ასევე აძლევს ღირებულ ინფორმაციას ადმინისტრაციას, ისე რომ მათ შემლონ განიხილონ სტუდენტების ქცევა, სწავლების პროდუქტიულობა, სასწავლო საქმიანობა და მიიღონ გადაწყვეტილება მომავალი ცვლილებებისა და განვითარების შესახებ სწავლების განვითარების მიზნით, ასევე გაზარდონ საჭირო ცოდნის და უნარების ხარისხი. უფრო მეტიც, შეფასება გამოიყენება განათლების სფეროში ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე არსებული სიტუაციის უფრო ფართო სურათის ანალიზისთვის.

6. სწავლის განზრახულ შედეგებსა და შეფასებებს შორის არსებული ხიდს წარმოადგენს კურსის შინაარსი. კურსის შინაარსის მთავარი მიზანია უზრუნველყოს სწავლის განზრახული შედეგის შეფასება. სასწავლო კურსის სიღრმე და მოცულობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული შეფასების იარაღებთან და იმ საშუალებებთან, რომლებიც ამორჩეულია სწავლის შედეგების გასაზომად. ასე რომ, შემდეგი სამი კომპონენტი უნდა იყოს ჰარმონიულობაში და დაეხმარონ ერთმანეთს: სწავლის შედეგები, კურსის შინაარსი და შეფასება.
7. სწავლის განზრახულ შედეგებს, სასწავლო კურსის შინაარსსა და შეფასებას შორის კავშირი პირდაპირ ახდენს ზეგავლენას შეფასების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მახასიათებლებსა და მოთხოვნებზე: მის საიმედოობაზე, სანდოობასა და პრაქტიკულობაზე.
8. დისერტაციაში შეთავაზებულმა ურთიერთდაკავშირებული შედეგების, კურსის შინაარსისა და შეფასების მოდელის შემუშავებამ უნდა გაიაროს რამოდენიმე ეტაპი:
 - საჭიროებების ანალიზი;
 - სწავლის შედეგების განსაზღვრა;
 - განზრახული სასწავლო შედეგების არჩევა;

- სწავლის განზრახულ შედეგებთან დაკავშირებული აქტივობების შეფასება და არჩევა;
- სწავლა-სწავლების მეთოდების / სტრატეგიებისა და მიდგომების შერჩევა, რომლებიც შეესაბამება სწავლის განზრახულ შედეგებს;
- სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასების მომზადება.

მასწავლებლებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, თუ სწავლის რომელ შედეგებზე უნდა მოახდინოს კონცენტრაცია სასწავლო კურსმა, რა აქტივობები უნდა იქნას გამოყენებული და ასევე, როგორ უნდა განისაზღვროს სასწავლო მიზნების შეფასება. ყოველივე ეს მასწავლებელმა უნდა ასახოს სილაბუსში, რომელიც შემდეგ მიეწოდებათ სტუდენტებს, ასე რომ შემსწავლელები შეძლებენ მიმართონ მას, როდესაც საჭირო იქნება.

9. შემოთავაზებული მოდელის გამოყენებისთვის რამოდენიმე მოქმედება უნდა განხორციელდეს ციკლურად: სტუდენტების ინფორმირება ჯერ გრძელვადანი და შემდეგ, რეგულარულად, მოკლევადიანი სასწავლო შედეგების შესახებ; გაკვეთილის დაგეგმვა და პრაქტიკა ცოდნის მოპოვებისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, მხარდაჭერილი ფორმალური შეფასებისა და უკუკავშირის მიერ; სტუდენტების მიღწევების ფორმატიული შეფასება; მათი დასკვნითი შეფასება.
10. ნავარაუდევია იქნა, რომ უნივერსიტეტის ენობრივ მოსამზადებელ სკოლაში ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების საქმეში შემოთავაზებული მოდელის ჩართვა სწავლების ტრადიციულ გზასთან შედარებით უფრო მეტად გააუმჯობესებს სტუდენტების ინგლისურენოვანი უნარ-ჩვევების დონეს. როგორც რაოდენობრივმა შედეგებმა აჩვენა, საკონტროლო და ექსპერიმენტულმა ჯგუფებმა გააუმჯობესა პირველი და მეორე მიმდინარე ტესტების და პოსტ-ტესტის შედეგები პრე-ტესტთან შედარებით, მაგრამ ექსპერიმენტულმა ჯგუფმა აჩვენა მნიშვნელოვნად უკეთესი მიღწევის დონე, ვიდრე საკონტროლო ჯგუფმა. ექსპერიმენტულ ჯგუფში უკეთესი შედეგების სტატისტიკური მნიშვნელოვნობა იქნა აგრეთვე გამოვლენილი

სტიტიკური შესადარებელი ნიმუშების T-ტესტის საშუალებით, რომლითაც დადასტურდა წარმოდგენილი კვლევის ჰიპოთეზა. საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების ქულები პოსტ-ტესტში გაიზარდა 55.86-დან 68.67-მდე, მაგრამ შემცირდა 66.76-მდე გადავადებულ პოსტ-ტესტში, მაშინ როცა ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების ქულები პრე-ტესტში გაიზარდა 55.96-დან პოსტ-ტესტში 75.32-მდე, მაგრამ გადავადებულ პოსტ-ტესტში შემცირდა 74.16-მდე, აჩვენა რა უარყოფითი ცვლილებისაგან უფრო რეზისტენტული შედეგი. ასე, რომ კვლევის ჰიპოთეზა დადასტურდა.

11. კითხვარებმა, რომლებიც გამოყენებულიყო ექსპერიმენტამდე და მის შემდეგ საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფში, ცხადყო, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი, ერთის მხრივ, სტუდენტებისთვის სწავლის მიზნების მიწოდებას, სასწავლო მასალების შერჩევის დაბალანსებულ მიდგომას, სასწავლო მასალებსა და შეფასებას, და მეორე მხრივ, სტუდენტების კმაყოფილებას დონის შორის. საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს მოეწონა ინგლისური ენის სასწავლო კურსი ცოტა მეტად, ვიდრე ის კურსი, რაც მათ ადრე გაიარეს, სანამ გახდებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, ამიტომ პასუხების საშუალო ქულა 1.8-დან 2.19-მდე გაიზარდა. საექსპერიმენტო ჯგუფში კი კმაყოფილების დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა (საშუალო ქულა გაიზარდა 1.89-დან 3.31-მდე. მაშასადამე, კითხვარიდან მიღებულმა რაოდენობრივმა მონაცემებმა ასევე დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა.

12. თვისობრივმა (ანკეტირების) შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები არჩევდნენ ყოფილიყვნენ ინფორმირებულები იმის თაობაზე, თუ სწავლის რა შედეგებს მოიპოვებდნენ ისინი და ექსპერიმენტული ჯგუფის მასწავლებლებმა დაადგინეს, რომ უფრო ეფექტურია აცნობო სტუდენტებს, რის შესწავლას უნდა მოელოდნენ ისინი და რის გაკეთებას შეძლებენ სასწავლო პროცესის ყოველ ეტაპზე. მასწავლებლებმა გააანალიზეს, რომ შემოთავაზებული ნაბიჯებით მათ შეეძლოთ ამოერჩიათ სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, რომლებიც მაქსიმალურად უწყობდა

ხელს სტუდენტების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგებსა, კურსის შინაარსისა და შეფასებას შორის უფრო მეტი ზედმიწევნით განხორციელებულმა ურთიერთკავშირმა მიგვიყვანა მთელი პროგრამით დიდ დაკმაყოფილებამდე.

13. წარმოდგენილი მოდელის ეფექტიურობის შესაფასებლად გამოყენებული ექსპერიმენტის, კითხვარებისა და ანკეტირების შედეგებმა მიუთითა, რომ შემოთავაზებული მოდელი არის ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელთათვის ინგლისურენოვანი უნარ-ჩვევების განვითარების ეფექტური გზა. დამატებითი კვლევის შემდეგ, იგი შეიძლება რეკომენდირებულ იქნას არა მხოლოდ საუნივერსიტეტო ენობრივი მომზადების სკოლისთვის, არამედ ნებისმიერი საგანმანათლებლო დონის პროგრამისთვის.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ სტატიებში:

1. V.Ulker, U.Ulker. (2015). Implementation of speaking summative assessment rubrics in the educational process. *The 5th International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English (IRCEELT)*, p. 453-464. Tbilisi.
2. V.Ulker, (2017). Foreign language course content development: psycholinguistic nature of speaking skill. *The 7th International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English (IRCEELT)*, p.908-914.
3. V.Ulker (2017). Impact of alignment between learning outcomes and assessment on English as a foreign language students' writing skills development (Ishik University Language Preparatory School Case). *Journal of Education in Black Sea Region*, vol. 3, iss.1, p. 139-148.
4. V. Ulker, (2017). The design and use of speaking assessment rubrics. *Journal of Education and Practice*, Vol. 8, No 32, p. 135-141.
5. V. Ulker, (2017). The alignment of teaching methodology and learning outcomes: The effect of students' presentations on the development of English language proficiency of adult learners. *International Journal of Social Sciences and Educational Studies*, Vol. 4, No. 3, p. 132-139.

